

## ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

გენდერული საბჭო ახალი შემადგენლობით დაკომპლექტდა გასული წლის იანვრის თვეში. საბჭო მდგება 16 წევრისაგან, რომლებიც არიან როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საბჭოს ბიუჯეტი განისაზღვრება 10 000 ლარით.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები:

გენდერული საბჭოს მიერ სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით, რომელიც განხორციელდა როგორც ფოკუს-ჯგუფის ასევე ანკეტირების მეთოდოლოგიის გამოყენებით, საბჭომ შეიმუშავა საგნმანათლებლო პროგრამები, რომელიც მიმართულია ქალთა ფსიქო-სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე. კერძოდ, ქალების მოთხოვნიდან გამომდინარე შეთავაზებულ იქნება შემდეგი პროგრამები:

- პოლიმერული თიხის ნაკეთობების შემსწავლელი კურსები;
- ექსელის შემსწავლელი კურსი;
- სტილისტობის შემსწავლელი კურსი;

აღნიშნულ პროექტს საბჭო ახორციელებს კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმთან“ ერთად თანადაფინანსებით დიმიტრის ადმინისტრაციულ ერთეულში.

- საბჭოს ინიციატივით ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით უფასო სასადილოს ბენეფიციარებს საჩუქრად გადაეცათ სასურსათე კალათა;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო შეუერთდება ქართული ვიკიპედიის ყოველწლიურ კონკურსს „ქალები ვიკიპედიაში“. საბჭომ ავტორისათვის, რომელიც საუკეთესო სტატიას დაწერდა ბაღდათში დაბადებულ ქალზე, დააწესა ფულადი პრიზი. გამოვლინდა გამარჯვებული, საუკეთესო სტატია დაიწერა სოფელ ოზჩის მკვიდ ვერა ბურჯანაძის შესახებ. ვერა ბურჯანაძე იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყველაზე მასშტაბური აჯანყების -1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე.
- გასული წლის 9 აპრილს სოფელ ოზჩაში გაიხსნა 9 აპრილია გმირი ქალის -თამარ მამულაშვილის სახელობის ქუჩა, ქუჩის სახელდება საბჭოს ინიციატივით წინა წელს მოხდა, თუმცა ოფიციალური გახსნა პანდემიის გამო გადაიდო.
- გენდერული საბჭოს ინიციატივით, ბაღდათის კულტურის სახლში გამართულ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის სასკოლო ჩემპიონატის საუკეთესო გოგო მონაწილეს საჩუქრად ფულადი თანხა გადაეცა
- ასევე გენდერული საბჭოს მდივანი გახლდათ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პროექტის "ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში" ქალთა პოლიტიკურ ჩართულობაზე მომუშავე თემატური სამუშაო ჯგუფის წევრი. ჯგუფი მუშაობდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე „პოლიტიკურ პარტიებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერები და მათი გადაჭრის გზები" და ქვეყნის მასშტაბით სამი სამიზნე მუნიციპალიტეტის გენდერულ საბჭოსთან ახორციელებს პროექტს, მათ შორის ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. პროექტის ფარგლებში გადაიღეს ვიდეო რგოლი ადგილობრივ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ, აღნიშნულ ვიდეო

რგოლში გადაიღეს დებუტატი 3 დეპუტატი ქალი. პროექტის ფარგლებში გენდერული საბჭოს მდივანმა დაწერა ბლოგი გენდერული ბიუჯეტების შესახებ: „როგორ პასუხობს ადგილობრივი ბიუჯეტები ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს?“

- საბჭოს წევრები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში პერიოდულად მართვადნენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც შეხვედრის მონაწილე გოგონებსა და ქალებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია თუ რა სახის მხარდამჭერი სერვისები არსებობს მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ჯგუფის ქალებისათვის, რომელი არასამთავრობო ორგანიზაციები ოპერირებენ რეგიონში ამ მიმართულებით და ასე შემდეგ. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში მოხდა ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირება, რომლებსაც გაეწიათ სხვადასხვა სახის დახმარება, მათ შორის რამოდენიმეს ქალთა ფონდი „სოხუმის“ ფინანსური მხარდაჭერით შეუძინეს მობილური ტელეფონები, რომელზეც ჩამოტვირთულია SOS ღილაკი და 112-ის აპლიკაცია, ამავე ორგანიზაციის რესურსით გაეწიათ უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება და ა.შ.
- „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“ გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობით ბაღდათის მუნიციპალიტეტში გასულ წელს ახორციელებდა პროექტს „თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისათვის“. პროექტის მიზანია სათემო ლიდერებში აამაღლოს ცნობიერება გენდერული თანასწორობის შესახებ და ხელი შეუწყოს გენდერული ნიშნით სტერეოტიპების და მანკიერი სოციალური ნორმების აღმოფხვრას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 6 ტრენინგის, აქედან 4 უკვე ჩატარდა.
- გენდერული საბჭოს ინიციატივით სოფელ წითლხევში „ნინოს მარანაში“ აღინიშნა სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე. სოფლად მცხოვრები ქალების დღე გაეროს გენდერალური ასამბლეის მიერ 2008 წლიდან აღინიშნება და აღიარებს სოფლად მცხოვრები ქალების წვლილს ადგილობრივ განვითარებასა და სოფლის მეურნეობაში და საზოგადოებას შეახსენებს, თუ რამდენად ფასეულია ამ ქალების შრომა და მოუწოდებს ღირსეულად დააფასონ ისინი.
- გენდერული საბჭოს ინიცირებით სოფელ როხის კულტურის სახლში პროექტ „გენდერული თანასწორობა თემის გაძლიერებისათვის“, რომელსაც მუნიციპალიტეტის გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობით „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი“ ახორციელებდა, ადგილობრივი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელების, მასწავლებლებისა და მშობლების მონაწილეობით გაიმართა „მხიარული სტარტები“.
- საბჭოს ორგანიზებით და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლების მონაწილეობით ინტელექტუალური თამაში „რა?სად?როდის?“ ჩატარდა. დასმული ყველა კითხვა და პასუხი დაკავშირებული იყო გენდერულ თანასწორობასა და სტერეოტიპებთან, ცნობილი ქალების ისტორიებთან და ა.შ.
- გენდერული საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით და ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით მაღალმთიანი სოფლის ხანის სკოლის მოსწავლეებისა და სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელებისათვის მოეწყო თოჯინებისა და ნიღბების თეატრის ჩვენება. პექტაკლის სცენარის შინაარსი ბავშვების ასაკის გათვალისწინებით გენდერულ თემატიკასა და ტოლერანტობის საკითხებს ითვალისწინება. ფონდ „სოხუმთან“ არსებული თოჯინების თეატრის მსახიობებს შორის „sos ბავშვთა სოფლის“ აღსაზრდელებიც არია. სპექტაკლის შემდეგ გენდერული საბჭოს წევრები პატარებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ;

- ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში საბჭოს ორგანიზებით მოეწყო აქციას პერფომანსისი, რომლის ფარგლებში საბჭოს წევრებმა სიმბოლურად სკვერში ფეხსაცმელები განათავსეს, ძალადობის მსხვერპლი ქალების ნამდვილი ისტორიებითა და წარწერებით. აქცია-პერფომანსს გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისა, მოქალაქეები, ახალგაზრდები GLOW კლუბის წევრები და საინიციატივო ჯგუფი „დიმელი ქალები“ შემოუერთდნენ. აქციის მთავარი სლოგანები იყო „ იმოქმედე ძალადობის წინააღმდეგ“ „დაგმე ფემიციდი“.
- გენდერული საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით და „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის" მხადაჭერით გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, დიმის თემში მცხოვრებ ქალებთან ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის იურისტმა სოფიო ქარჩხაძემ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე, რომელმაც ინტერაქტიულ რეჟიმში ჩაიარა, საუბარი იყო ქვეყანაში გენდერული ძალადობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, ასევე დაზარალებულთა დახმარების პროგრამებზე